ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №674417

ნომერი: AR1126734

თარიღი : 24.04.2013

გაცემის თარიღი : 05.06.2013

გაცნობის თარიღი : 05.06.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ჩიტაიას ქუჩა #14 (ყოფ. საბჭოს ქუჩა #64);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა ბარჯაძე პ/ნ 01011068649
- თბილისი ფშავის ქ. N 19/21

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ფუნქციური ზონის ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ თქვენი საკითხი განხილული იქნა “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2013 წლის 1 მაისის #17 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზე ქ. თბილისში ჩუღურეთის რაიონში, ჩიტაიას #14–ში (ყოფილი საბჭოს ქუჩა #64) არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.16.01.017.021) ფუნქციური ზონის სტატუსის საცხოვრებელი ზონა 6–ის (სზ–6), საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2–ით (სსზ–2) ცვლილებას მიეცა თანხმობა. დანართის სახით გიგზავნით ზემოთ აღნიშნული სხდომის ოქმიდან ამონარიდს. შესაბამისად, საკითხი შემდგომი განხილვისთვის წარდგენილია ქალაქ თბილისის საკრებულოს სხდომაზე, რომლის საბოლოო გადაწყვეტილების შესახებაც სამსახური გაცნობებთ დამატებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge